ოქმი:**ო08. 3722360001**
თარიღი:**26/12/2022**

ოქმი № 26
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის

2022 წელი, 23 დეკემბერი

ქ.ოზურგეთი

11.30 -12.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ლავრენტი ბიგვავა- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი (უხუცესი წევრი)

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. მახარაძე, თ. ტუღუში, ბ. კილაძე, პ. კიღურაძე, გ. კილაძე, ლ. კილაძე, პ. სალუქვაძე, ნ. ურუშაძე, ვ. ნიჟარაძე, ალ. ღლონტი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში წერეთლის ქუჩაზე (ს/კ 26.26.40.116) მდებარე 970 კვმ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: ლ. ბიგვავა

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში მ. კოსტავას ქუჩა N!-ში (ს/კ 26.26.42.003.01.508)მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული 33,64 კვმ. ფართის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: ლ. ბიგვავა

სხდომის თავმჯდომარემ, ლ. ბიგვავამ, მოკლედ ისაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი ორი განკარგულების პროექტის შესახებ, აღნიშნა, რომ ორივე მათგანი ეხება მუნიციპალური ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემას, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და ცალ-ცალკე კენჭისყრით მხარი დაუჭირეს მათ საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“და ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში მ. კოსტავას ქუჩა N!-ში (ს/კ

26.26.42.003.01.508)მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული 33,64 კვმ. ფართის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ პროექტები წარდგენილი იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

ლავრენტი ბიგვავა

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხების კომისია-კომისიის
თავჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი